

ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო

საზედამხედველო კომიტეტის ანგარიში
ანგარიშგების პერიოდი: 2017 წლის დეკემბერი - 2018 წლის
თებერვალი

შესავალი: ანგარიში ასახავს ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს საზედამხედველო კომიტეტის (სკ) მიერ 2017 წლის დეკემბერი - 2018 წლის თებერვლის პერიოდში განხორციელებულ აქტივობებს. აღნიშნული მოიცავს შემდეგს:

- საზედამხედველო კომიტეტის ვიზიტი ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრში - 2018 წლის წლის 16 იანვარი
- სავლე ვიზიტი ბათუმში, აჭარაში - 2018 წლის 25-26 იანვარი
- საზედამხედველო კომიტეტის შეხვედრა - 2018 წლის 1 თებერვალი
- ქსს-ს 89-ე სხდომა - 2018 წლის 9 თებერვალი
- სავლე ვიზიტი გორში - 2018 წლის 23 თებერვალი

ქსს-ს სხდომა

ანგარიშგების პერიოდში გაიმართა ქსს-ს ერთი სხდომა (2018 წლის 9 თებერვალი). სხდომაზე წარდგენილ იქნა საზედამხედველო კომიტეტის საქმიანობის ანგარიში. სხდომის სხვა მნიშვნელოვანი საკითხები: აივ და ტბ პროგრამების განხორციელების სტატუსი; გლობალურ ფონდში წარსადგენი განაცხადების მზადების პროცესი; მიმდინარე პროგრამის დანაზოგი/რეპროგრამირების წინადადებები.

საზედამხედველო კომიტეტის შეხვედრები

2018 წლის 1 თებერვალს გაიმართა საზედამხედველო კომიტეტის შეხვედრა. შეხვედრის მსვლელობისას განხილულ იქნა 2018 წლის მე-3 კვარტალის აივ და ტბ პროგრამების დემზორდები.

საზედამხედველო კომიტეტის ვიზიტები

საზედამხედველო კომიტეტის ვიზიტი ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრში გაიმართა 2018 წლის წლის 16 იანვარს. ვიზიტის ამოცანები: გლობალური ფონდის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების მხარდაჭერა მკურნალობაზე დამყოლობის გაუმჯობესების ღონისძიებების უზრუნველყოფა“ მიმდინარეობის მიმოხილვა; მკურნალობაზე დამყოლობის მხარდაჭერი

მიდგომებთან ჰარმონიზაციის შესახებ ინფორმაციის შეკრება; პროგრამის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი შესაძლო გამოწვევების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზების დასახვა.

საზედამხედველო კომიტეტმა განახორციელა სავლე ვიზიტი ბათუმში, აჭარაში 2018 წლის 25-26 იანვარს. ვიზიტის ამოცანები იყო: პროგრამის ქვე და ქვე-ქვე-კონტრაქტორებისგან ინფორმაციის შეგროვება გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული პროგრამების განხორციელებისა და აქტივობების შესახებ; გრანტის განხორციელების პროცესში წარმოშობილი გამოწვევებისა და მათი გადაჭრის გზების განხილვა. ვიზიტი განხორციელდა: ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონული ცენტრი; ბათუმის ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი, მეტადონით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამა; ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი - ორგანიზაცია „იმედი“; საინფორმაციო სამედიცინო ფსიქოლოგიური ცენტრი „თანადგომა“, ბათუმის ფილიალი; შიდსით დაავადებულ პაციენტთა დახმარების ფონდის ბათუმის ფილიალი; ბათუმის რესურს ცენტრი, ორგანიზაცია „იდენტობა“.

საზედამხედველო კომიტეტმა განახორციელა ვიზიტი გორში (2018 წლის 23 თებერვალი) შიდსისა და ტუბერკულოზის პროექტების მიმდინარეობის სტატუსის შეფასების და მათ განხორციელების პროცესში გამოწვევების იდენტიფიცირების მიზნით. ვიზიტი განხორციელდა: გორის ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი, მეტადონით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამა; ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი - ორგანიზაცია „ნაბიჯი მომავლისაკენ“; ტუბერკულოზის ცენტრი.

2018 წლის 27 მარტი

ანგარიში მოამზადა ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს სამდივნომ

ანგარიში თარგმნა ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს სამდივნომ